# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების მიმოხილვა

მოგახსენებთ, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2020 წლის 28 დეკემბრის №34 დადგენილებით. დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობები და ხარჯები განსაზღვრული იქნა 13040300 ლარით. მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ხარჯების გეგმა შეადგენს 18722887 ლარს. რაც შეეხება 2021 წლის I კვარტლის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმებს შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში - შეადგინა 5163080 ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021 წლის I კვარტლის შემოსავლების დაზუსტებული გეგმა იყო 3962700 ლარი, შესრულებამ შეადგინა 3213709 ლარი და გეგმა შესრულდა 81 პროცენტით. მათ შორის შემოსავლების სახეების მიხედვით:

გადასახადების გეგმა იყო 2682700 ლარი, შემოვიდა 2457407 ლარი და გეგმა შესრულდა 92 პროცენტით. სხვა შემოსავლების გეგმა იყო 170500 ლარი, შემოვიდა 207314 ლარი, გეგმის შესრულებამ შეადგინა 122 პროცენტი. ამავე პერიოდში შემოვიდა გრანტები 548987 ლარი.

მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 1200380ლარი.

მიმდინარე პერიოდის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 5163080 ლარი, შესრულებამ შეადგინა 4443431 ლარი და გეგმა შესრულდა 86 პროცენტით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის გადასახდელების (ხარჯების) გეგმა იყო 5163080 ლარი, შესრულებამ შეადგინა 3546617 ლარი, გეგმა შესრულდა 69 პროცენტით. ხარჯები გაწეულია ეკონომიით. მათ შორის:

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 171000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 145446 ლარი და გეგმა შესრულდა 85 პროცენტით.

2. მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 440200ლარი, შესრულებამ შეადგინა 343858 ლარი და გეგმა შესრულდა 78 პროცენტით.

3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისთვის გეგმიური 23900 ლარის ნაცვლად გახარჯული იქნა 20615 ლარი და გეგმა შესრულდა 86 პროცენტით.

4. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისათვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული იყო 2085441 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1188363 ლარი (57%).

5. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 258000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 190459 ლარი (74%).

6. საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის ხარჯები განსაზღვრული იქნა 1455056 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1147220 ლარი (79%).

7. კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობის ხარჯების გეგმა იყო 410232 ლარი, შესრულებამ შეადგინა 331429 ლარი და გეგმა შესრულდა 81 პროცენტით.

8. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 225249 ლარი, შესრულებამ შეადგინა 179222 ლარი (80%).

9. მერის ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 3000 ლარი.

დეტალური ინფორმაცია მიმდინარე პერიოდის შემოსავლების და გადასახდელების შესახებ თან ერთვის.

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი:** /გ. მანგოშვილი/